ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0123230443**
თარიღი: **18/08/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2023 წლის 7 აგვისტოს N 17-01232193029-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა N105-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.18.09.006.017) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილების (AR1981494) საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ დადებითი პოზიცია დააფიქსირა არქიტექტურული პროექტის ცვლილების შეთანხმების ეტაპზე 2022 წლის 5 ივლისის N 17-01221863650-16 წერილის პასუხად N 16-01221893518 წერილით.

ვინაიდან, პროექტის ცვლილება და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რამაც შეიძლება არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე სააგენტოს პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები თანხმობის წერილებთან ერთად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტო არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ცვლილების შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

ექსპერტის დასკვნა
FORENSICS REPORT



თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5000311124

22/01/2024

5000311124

შპს ირბისს წარმომადგენელს (მინდობილობით)
ქალბატონ ნაილა აგაჯანოვს

(გორგასლის ქ. 105)

ქალბატონო ნაილა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2023 წლის 20 სექტემბრის რეგისტრაციის N1007578323) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N000351624 დასკვნას

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 03 ფურცლად;

საპროექტო დოკუმენტაცია - ერთი ფუთა

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

5000311124

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 23.01.2024 (ხელმოწერა) გ.ა



000351624

ექსპერტის დასკვნა № 000351624

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს ირბის

თანამდებობა: წარმომადგენელი (მინდობილობით)

მისამართი: გორგასლის ქ. 105

სახელი და გვარი: ნაილა აბაკუმოვი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

დათო ფირყულაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 16 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ დაადგინოთ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებულ შენობა-ნაგებობ მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

მისამართი: ქალაქი თბილისი, გორგასალის ქუჩა #105, საკადასტრო კოდი # 01.18.09.006.017

შემოსვლის თარიღი: 20/09/2023 წ

გასვლის თარიღი: 22/01/2024

დასკვნა

ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა #105-ში (ს.კ. 01.18.09.006.017) მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ კონსტრუქციული ნაწილი ძირითად შესაბამისობაშია მოქმედი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან - A და B ბლოკის კარკასის მზიდ ელემენტებზე უარყოფით გავლენას არ ახდენს თითო-თითო სართულის დამატება

დათო ფირყულაშვილი

გამოკვლევა

საინჟინრო ექსპერტიზაზე განხილულია ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა #105-ში (ს.კ. 01.18.09.006.017) მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის A და B ბლოკზე დამატებით თითო-თითო სართულის დაშენების

შესაძლებლობის განსაზღვრა.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი, შენობების საანგარიშო მოდელები, ტერიტორიის გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევები.

კონსტრუქციულ ნაწილში მოცემული გადაწყვეტის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე განლაგებულია ორი ცალკე მდგომი შენობა A და B ბლოკი, რომელთა მზიდი კონსტრუქციები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი სისტემით.

A ბლოკის ვერტიკალურ მზიდ ელემენტებად მიღებულია სართულების მიხედვით ცვალებადი განივკვეთის (60x100, 40x100 სმ) მჭიდრო სვეტები, სართულშორისი გადახურვის ფილების სისქედ მიღებულია 18 სმ, კარკასში გამოყენებულია მართკუთხა განივკვეთის (40x50 სმ) რიგელები. საძირკვლების კონსტრუქციად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის 150 და 120 სმ დიამეტრის დაყრდნობილი ხიმინჯები, სარდაფის ძირზე გაერთიანებული 100 სმ სისქის ფილით. მიწისქვეშ შენობის მთელ პერიმეტრზე მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის კედლები. კიბეების კონსტრუქცია ასევე შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის გამოყენებით.

B ბლოკის ვერტიკალურ მზიდ ელემენტებად მიღებულია სართულების მიხედვით ცვალებადი განივკვეთის (60x80, 40x80 სმ) მჭიდრო სვეტები, სართულშორისი გადახურვის ფილების სისქედ მიღებულია 18 სმ, კარკასში გამოყენებულია მართკუთხა განივკვეთის (40x50 სმ) რიგელები. საძირკვლების კონსტრუქციად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის 150 სმ დიამეტრის დაყრდნობილი ხიმინჯები, სარდაფის ძირზე გაერთიანებული 100 სმ სისქის ფილით. მიწისქვეშ შენობის მთელ პერიმეტრზე მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის კედლები. კიბეების კონსტრუქცია ასევე შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის გამოყენებით.

ორივე A და B ბლოკის ახალი დამატებული სართულის მზიდ კონსტრუქციად მიღებულია ნაგლინი პროფილებით შედგენილი სისტემა, რომელიც უნდა ჩამაგრდეს არსებულ მზიდ ელემენტებზე.

საპროექტო ტერიტორია განსაზღვრულია შემდეგი კლიმატური პირობებით:

ქარის სიჩქარე - 33.0 მ/წმ

თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა

სეისმური მიკროდარაიონებისა (პნ. 01.01-09) და წარმოდგენილი საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით საშენებლო მოედანის საანგარიშო სეისმურობა MSK-64 სკალით შეადგენს 8 ბალს.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია თითოეული ბლოკის საანგარიშო მოდელი, რომლებიც შედგენილია პროგრამული კომპლექს „ЛИРА"-ს მეშვეობით სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე. სივრცით ანგარიშებში მოცემულია ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცითი სისტემები.

ექსპერტიზაზე ჩატარებული ანგარიშით დადგინდა, რომ პროექტში მიღებული გადაწყვეტები ძირითად შესაბამისობაშია მოქმედი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან - კარკასის მზიდ ელემენტებზე უარყოფით გავლენას არ ახდენს ერთი სართულის დამატება.

დამუნების კონსტრუქციული ნახაზების მიმართ არის შემდეგი სახის ტექნიკური ხასიათის შენიშვნები და რეკომენდაციები:

1. დამუნების პროექტში მოცემული უნდა იყოს სვეტის ბაზებში გამოყენებული ანკერები, მათი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და მოწყობის წესი;

2. ნახაზებზე მოცემული უნდა იყოს ელემენტების შემაერთებელი ჭანჭიკები, დიამეტრი, კლასი, სიზუსტის ტიპი;

3. ნახაზებზე მოცემული უნდა იყოს გამოყენებული შედუღების ტიპი, მარკა, სისქე;

4. ნახაზებზე მოცემული უნდა იყოს ფოლადის ელემენტების ანტიკოროზიული და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიების შესრულებისათვის საჭირო მოთხოვნები;

ამრიგად, ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა #105-ში (ს.კ. 01.18.09.006.017) მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ კონსტრუქციული ნაწილი ძირითად შესაბამისობაშია მოქმედი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან - A და B ბლოკის კარკასის მზიდ ელემენტებზე უარყოფით გავლენას არ ახდენს

ოო-თითო სართულის დამატება.

დათო ფირყულაშვილი

გამოყენებული მასალები

ქ თბილისში, გორგასალის ქუჩა #105-ში (ს.კ. 01.18.09.006.017) მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის ოექტო დოკუმენტაცია - არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილები;

ებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები;

ა საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის მიერ მომზადებული „ქ. თბილისი, გორგასალის ქუჩა #105-ში (ს.კ. 01.18.09.006.017) ებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე სეისმური ვილების აგება, სეისმურობის დაზუსტება ლოკალური პარამეტრების გათვალისწინებით, საპროექტო შენობისათვის არიშო აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევა, დრეკადი და საანგარიშო რეაქციის სპექტრების აგება, მიღებული შედეგების ოდგენა პროგრამა Lira SAPR-ის ფორმატში (ტექნიკური ანგარიში)“;

ბის საანგარიშო მოდელები

გამოყენებული ლიტერატურა (სტანდარტი, რეგლამენტები...)

01.05-08 - სამშენებლო კლიმატოლოგია;

01.01-09 - სეისმომედეგი მშენებლობა;

02.01-08 - შენობების და ნაგებობების ფუძეები;

03.01-09 - ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები;

иП 2.01.07-85* - Нагрузки и воздействия, М.: 1987;

иП 2.03.01-84* - Бетонные и железобетонные конструкции, М.: 1989;

иП II-23-81* - Стальные конструкции;

оводство по конструированию бетонных и железобетонных конструкций из тяжелого бетона (без предварительного напряжения) 78;

собие по проектированию бетонных и железобетонные конструкциии из тяжелых и легких бетонов без предварительного жения арматуры (к СНиП 2.01.03-84), М.: 1986

ტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

